I ეტაპი - იუნკერთა I კურსი

ა) იუნკერთა I კურსზე ჩარიცხვისთანავე იუნკერები გაივლიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე აკადემიაში ახლად-ჩარიცხული სამოქალაქო პირი გარდაიქმნება სამხედრო მოსამსახურედ. კურსის პერიოდში ხდება იუნკერის ფიზიკური ამტანობის, მძიმე სტრესულ სიტუაციაში ემოციური მდგრადობისა და ბაზისური სამხედრო უნარების განვითარება, მასში სამხედრო დისციპლინის ჩამოყალიბება და იმ გამოწვევებისათვის მომზადება, რომელიც მას საქართველოს თავდაცვის ძალების სისტემაში სამსახურის პერიოდში შეხვდება. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იუნკერის ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას: თუ კურსის ხელმძღვანელობა დააფიქსირებს იუნკერის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ისეთ პრობლემას, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მას კურსის მოთხოვნების შესრულებაში, იუნკერი იგზავნება გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო

ჰოსპიტალში და სამხედრო საექიმო კომისიის მიერ შესაბამისი დასკვნის საფუძველზე განიხილება მის მიერ კურსის გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხი. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის მიმდინარეობისას იუნკერები დათხოვნით არ სარგებლობენ.

ბ) საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის დასრულების შემდეგ იუნკერები „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან დროებით შტატზე იუნკერთა I კურსის იუნკერებად.

იუნკერთა I კურსის იუნკერები საბაკალავრო პროგრამების თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სწავლობენ სამხედრო საქმეს.

აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში იუნკერთა I კურსის იუნკერებს ყოველდღიურად უწევთ მონაწილეობის მიღება დილის გამამხნევებელ ვარჯიშსა და შუადღის ფიზიკურ მომზადებაში/სპორტულ სექციაში. იუნკერთა I კურსის ყველა იუნკერისთვის სავალდებულოა ცურვისა და ხელჩართული ბრძოლის სექცია.

იუნკერთა I კურსის იუნკერებს ქვეყნის შიგნით (აკადემიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით - ქვეყნის გარეთ) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.